

მოსახლეობის ცოდნის, რისკების აღქმის,
პრევენციული ქცევებისა და საჯარო ნდობის
მონიტორინგი კორონავირუსის პანდემიის
ფონზე საქართველოში
(მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე ტალღის კვლევების შედეგები)

2020 წლის სექტემბერი - 2021 წლის მარტი



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



მეთოდოლოგია

კვლევის ტიპი: რაოდენობრივი კოჰორტული კვლევა

კვლევის მეთოდი: სატელეფონო გამოკითხვა (საშუალო ხანგრძლივობა - 30 წთ)

კვლევის ინსტრუმენტი: სტრუქტურირებული კითხვარი

კვლევის ობიექტი: საქართველოს 11 რეგიონის სრულწლოვანი (18 წლის და მეტი) მოსახლეობა

შერჩევის ზომა: 1000 რესპონდენტი (თითოეულ ტალღაში)

შერჩევის ცდომილება: მთელი შერჩევისთვის ($\pm 3,1\%$ 95%-იანი სანდოობით); კვლევის შედეგები რეპრეზენტატულია რესპონდენტთა სქესის, ასაკის, ქალაქის/სოფლის მოსახლეობის მიხედვით.

საველე სამუშაოები:


- მეხუთე ტალღა: 15-16 სექტემბერი, 2020 წელი
- მეორე ტალღა: 7-8 დეკემბერი, 2020 წელი
- მესამე ტალღა: 11-12 მარტი, 2021 წელი

მონაცემთა ანალიზის მეთოდები: უნივარიაციული, ბივარიაციული და მულტივარიაციული

კორონავირუსით ინფიცირება


კორონავირუსით ინფიცირებულთა რაოდენობა იზრდება სექტემბრიდან დეკემბრამდე - გამოკითხვის მეშვიდე ტალღაში ინფიცირებას ადასტურებს ყოველი მეხუთე გამოკითხული.

თქვენი აზრით, ხართ თუ არა / ყოფილხართ თუ არა ახალი კორონავირუსით ინფიცირებული?




ინფიცირებულთა დიდ უმრავლესობას
ჰქონდა ინფიცირების მსუბუქი ფორმა.

კორონავირუსით ინფიცირება იყო:




საინტერესოა, რომ გამოკითხვის როგორც მეექვსე (2020 წლის დეკემბერი), ისე მეშვიდე (2021 წლის მარტი) ეტაპებზე, ინფიცირებულ რესპონდენტთა თითქმის 40% აღნიშნავს, რომ ინფიცირება ლაბორატორიულად დაუდასტურებელი იყო.

კორონავირუსით ინფიცირება იყო:




ინფიცირებულ რესპონდენტთა 17%
გამოკითხვის ბოლო ტალღაში (2021 წლის
მარტი) მიუთითებს, რომ არ არის
სრულად გამოჯანმრთელებული.

ამჟამად ხართ თუ არა სრულად
გამოჯანმრთელებული?




ინფიცირებულთა უმრავლესობამ (70%)
კონსულტაცია გაიარა ოფიციალურად
რეკომენდირებულ ოჯახის ექიმთან.

გაიარეთ თუ არა კონსულტაცია ონლაინ
კლინიკაში / ოფიციალურად
რეკომენდირებულ ოჯახის ექიმთან?




ოფიციალურად რეკომენდირებული
ოჯახის ექიმის კვალიფიკაციით
კმაყოფილია დიდი უმრავლესობა
(„ძალიან კმაყოფილია“ თითქმის
ყველი მეორე).

რამდენად კმაყოფილი ხართ ონლაინ
კლინიკით / ოფიციალურად
რეკომენდირებული ოჯახის ექიმით?




იმ ინფიცირებულებმა, რომლებმაც
ოფიციალურად რეკომენდირებულ
ოჯახის ექიმს არ მიმართეს, ამის
ძირითად მიზეზად დაასახელეს ის, რომ
ჰქონდათ მსუბუქი სიმპტომები და
მსგავსი მომსახურება არ
ეაჭიროებოდათ.

რატომ არ მიმართეთ ონლაინ კლინიკას/ოფიციალურად რეკომენდირებულ ოჯახის ექიმს?



კორონავირუსით ინფიცირებულთაგან
მხოლოდ 16%-ს დასჭირდა
ჰოსპიტალიზაცია.

იყავით თუ არა ჰოსპიტალიზებული კოვიდ-
19-ის გამო?



კოვიდინფექციის გამო
ჰოსპიტალიზებულმა რესპონდენტებმა
საშუალოდ 11 დღე გაატარეს
საავადმყოფოებში.

მათი უმრავლესობა (86%) კმაყოფილია
საავადმყოფოში მიღებული
მომსახურებით.

ჰოსპიტალიზების დღეების და კმაყოფილების საშუალო მაჩვენებლები

რამდენი დღე იყავით
ჰოსპიტალიზებული?

11.20


რამდენად კმაყოფილი ხართ
საავადმყოფოში მიღებული
სამედიცინო მომსახურებით?
(7 ქულიან სკალაზე; 1 - "ძალიან
უკმაყოფილო", 7 - "ძალიან
კმაყოფილი")

6.20

ინფიცირებულ რესპონდენტთა
გამოკვეთილი უმრავლესობა (77%)
აღნიშნავს, რომ ინფიცირების შემდეგ
გართულებები არ ჰქონია.

კორონავირუსით ინფიცირების შემდეგ
გართულებების შესახებ აღნიშნავს
ინფიცირებულთა დაახლოებით
მეოთხედი.


გქონდათ თუ არა რაიმე სახის გართულებები
კორონავირუსით ინფიცირების შემდეგ?



კორონავირუსით ინფიცირების
შემდეგ გართულებები ძირითადად
დაუკავშირდა:

- გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს
- ძვალ-კუნთოვან სისტემას
- სასუნთქი გზების დაავადებებს

გართულებები დაკავშირებული იყო...



კორონავირუსთან გამკლავება


რესპონდენტების დიდი უმრავლესობისთვის ადვილია:

- ვირუსთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება
- იმ ინფორმაციის მოძიება, თუ რა უნდა მოიმოქმედონ, თუ გაუჩნდათ ეჭვი ინფიცირების შესახებ
- რეკომენდაციებს დაცვა, თუ როდის უნდა დარჩნენ სახლში
- ინფორმაციის მოძიება ვაქცინაციის შესახებ და სხვ.

ერთადერთი რამ, რაც რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის რთული აღმოჩნდა, უკავშირდება იმის შეფასებას, თუ რამდენად სანდოა მედიაში გავრცელებული ინფორმაცია ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის შესახებ

რამდენად ადვილია ან ძნელი:

(MEAN 7 ქულიან სკალაზე; 1 – “ძალიან ძნელია”, 7 – “ძალიან ადვილია”)




კორონავირუსით დაინფიცირების ალბათობის აღქმა ყველაზე დაბალია 2020 წლის სექტემბერში, მნიშვნელოვნად იმატებს 2020 წლის დეკემბერში და კვლავ მცირდება 2021 წლის მარტში (თუმცა, 2020 წლის სექტემბრის მონაცემებზე უფრო მაღალია).

საინტერესოა, რომ განცდა იმისა, თუ რამდენად რთულად გადაიტანენ კორონავირუსს, რესპონდენტებში იმავე ინტენსივობისაა 2021 წლის მარტში, რაც იყო 2020 წლის დეკემბერში.

უფრო მეტიც: 2021 წლის მარტში რესპონდენტებს უფრო დაცულად მიაჩნიათ თავი კორონავირუსის მიმართ, ვიდრე 2020 წლის დეკემბერში.

ვირუსით დაინფიცირების ალბათობის, ვირუსის გადატანის სირთულის და ვირუსის წინაშე დაუცველობის აღქმების საშუალო მაჩვენებლები



ვირუსით დაინფიცირების ალბათობის, ვირუსის გადატანის სირთულისა და ვირუსის წინაშე დაუცველობის აღქმების კორელაციაში მყოფი ცვლადები

ზედა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები მეტად ფიქრობენ, რომ მათი დაინფიცირების ალბათობა მაღალია. მსგავს პოზიციას იზიარებენ ის პირები, რომლებიც ვირუსს ახლოს მყოფად აღიქვამენ.

ვირუსის გადატანის სირთულეზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ:

- ✓ ქალები
- ✓ ზედა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები
- ✓ ისინი, ვინც ვირუსს ახლოს მყოფად აღიქვამს
- ✓ ისინი, რომელთა აზრითაც, ვირუსი სწრაფად ვრცელდება
- ✓ ისინი, რომლებიც ვირუსის შესახებ ხშირად ეძებენ ინფორმაციას
- ✓ ისინი, ვინც რისკ-ჯგუფს მიეკუთვნებიან
- ✓ ისინი, ვინც მიიჩნევენ, რომ მედია ვირუსს გაზვიადებულად არ წარმოაჩენს
- ✓ ისინი, ვისაც დაბალი სამედიცინო ცნობიერება აქვთ


ვირუსის მიმართ თავს დაცულად გრძნობენ მაღალი სამედიცინო ცნობიერების მქონე რესპონდენტები და ის პირები, რომელთა აზრითაც, მედია ვირუსს გაზვიადებულად არ წარმოაჩენს. მეორე მხრივ კი, ვირუსის მიმართ დაუცველობის შეგრძნებას რისკ-ჯგუფის წარმომადგენლები და ის პირები ავლენენ, რომლებიც ვირუსს ახლოს მყოფად აღიქვამენ.

	დაინფიცირების ალბათობა			ვირუსის გადატანის სიმარტივე / სირთულე			ვირუსის მიმართ დაცულობა / დაუცველობა		
	Beta	Standardized CI	p	Beta	standardized CI	p	Beta	standardized CI	p
ასაკი	0.12	0.04 – 0.21	0.006	0.21	0.11 – 0.31	<0.001			
ვირუსის სიახლოვის აღქმა	0.19	0.10 – 0.27	<0.001	0.11	0.04 – 0.19	0.003	-0.22	-0.30 - -0.14	<0.001
ვირუსის გავრცელების სიჩქარის აღქმა				0.09	0.02 – 0.17	0.014			
ინფორმაციის მოძიების სიხშირე				0.11	0.04 – 0.019	0.003			
სამედიცინო ცნობიერება				-0.08	-0.16 - -0.01	0.033	0.14	0.05 – 0.22	0.001
სქესი: ქალი				0.13	0.04 – 0.19	0.002			
რისკ-ჯგუფებისადმი მიკუთვნებულობა (ქრონიკული დაავადებების მქონე ან 65+ ასაკის პირები)				0.22	0.13 – 0.32	<0.001	-0.10	-0.19 - -0.02	0.013
მედიის მიერ ვირუსის გაზვიადებული წარმოჩენის აღქმა				-0.08	-0.16 - -0.01	0.035	0.09	0.00 – 0.17	0.041

კორონავირუსის ინფექციის გავრცელების ძირითად პრევენციულ ზომებს რესპონდენტთა უმრავლესობა განუხრელად ახორციელებს.

გარკვეული შეფერხება 2011 წლის მარტში დაუკავშირდა საჯარო სივრცეებში სოციალური დისტანციის დაცვას.

უკანასკნელი 7 დღის განმავლობაში, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელს ახორციელებთ ახალი კორონავირუსის ინფექციის გავრცელების თავიდან ასარიდებლად / პრევენციისთვის?
(პასუხი „დიახ“)



პირბადის ტარება საჯარო ადგილებში და ხელების დამუშავება (დაბანა ან სადეზინფექციო ხსნარის გამოყენება) კვლავ ფართოდ მხარდაჭერილი ზომებია 2011 წლის მარტში.

თუმცა, იმ რესპონდენტთა რაოდენობა, ვინც პირბადეს არარეგულარულად ხმარობს (ქულები 7-ის გარდა) შეადგენს 24%-ს.

რამდენად ხშირად მიმართავთ ქვემოთ ჩამოთვლილ ზომებს კორონავირუსით დაინფიცირების თავიდან ასარიდებლად?
(MEAN 7 ქულიან სკალაზე; 1 – “არასდროს”, 7 – “მალთან ხშირად”)

პირბადის ტარება საჯარო ადგილებში
(ღია /დახურულ სივრცეებში)

6.57

ხელების დამუშავება ყველა
რისკისშემცველ სიტუაციაში


6.30

ნდობა ძირითადი „სტეიკჰოლდერების“
მიმართ

კორონავირუსთან დაკავშირებით ინფორმაციის ყველაზე სანდო წყაროებად დასახელდა:

- ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია
- NCDC
- Covid-19-ის ცხელი ხაზი
- Covid-19-ის ეროვნული საინფორმაციო ვებგვერდი

რამდენად ენდობით ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას COVID19-თან დაკავშირებით?
(MEAN 7 ქულიან სკალაზე; 1 – “მცირედით ვენდობი”, 7 – “სავსებით ვენდობი”)




რესპონდენტებმა დაასახელეს ის ორგანიზაციები, რომლებსაც, მათი აზრით, კარგად შეუძლიათ გაართვან თავი კორონავირუსით გამოწვეულ პრობლემებს:

- საავადმყოფოები, რომლებიც კორონავირუსით დაავადებულ პაციენტებს მკურნალობენ
- NCDC
- ჯანდაცვის სამინისტრო
- კორონავირუსთან დაკავშირებული საკოორდინაციო საბჭო

რამდენად დარწმუნებული ხართ, რომ ადამიანებს ან ორგანიზაციებს, რომლებსაც ჩამოგითვლით, კარგად შეუძლიათ თავი გაართვან ახალი კორონავირუსით გამოწვეულ პრობლემებს?

(MEAN 7 ქულიან სკალაზე; 1 - "ნაკლებად დარწმუნებული ვარ", 7 - "სავსებით დარწმუნებული ვარ")




■ V ეტაპი (15.09.2020) ■ VI ეტაპი (7.12.2020) ■ VII ეტაპი (11.03.2021)

რესპონდენტები მხარს უჭერენ
საჯარო ადგილებში პირბადის
ტარების ვალდებულების
შენარჩუნებას და სკოლებს გახსნის
გადაწყვეტილებას.

თუმცა, მეორე მხრივ,
რესპონდენტთა უმრავლესობა (52%)
არ ემხრობა საღამოს 9 საათის
შემდეგ კომენდანტის საათის
დაწესებას.


ზოგადად რამდენად ეთანხმებით, ხელისუფლების მიერ
ბოლო დროს მიღებულ გადაწყვეტილებებს?
(MEAN 7 ქულიან სკალაზე; 1 - "სრულიად არ
ვეთანხმები", 7 - "სრულიად არ ვეთანხმები")



რესპონდენტთა დამოკიდებულება COVID-19-
ის საწინააღმდეგო ვაქცინის შესახებ

რესპონდენტთა უმრავლესობა - 60% - არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ვაქცინაცია არ არის სჭირო, რადგან COVID-19 აღარ არის გავრცელებული.


კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია არ არის
საჭირო, რადგან კოვიდ-19 აღარ არის
გავრცელებული




რესპონდენტთა უმრავლესობა (საშუალოდ 60%), კვლევის სამივე ტალღაში, ეთანხმება მოსაზრებას, რომ ვაქცინა დაეხმარება COVID-19-ის გავრცელების კონტროლს.

მჯერა, რომ ვაქცინა COVID19-ის გავრცელების კონტროლს დაეხმარება


V ეტაპი
(15.09.2020)



VI ეტაპი
(7.12.2020)



VII ეტაპი
(11.03.2021)




■ არ ვეთანხმები ■ 50/50 ■ ვეთანხმები ■ არ ვიცი / უარი პასუხზე

2021 წლის მარტის პირველი ნახევრისთვის, რესპონდენტთა დაახლოებით 30% ვაქცინის გაკეთების მიმართ რეზისტენტულია (ქულები 1,2 და 3 შვიდ ქულიან სკალაზე), ხოლო დაახლოებით ყოველი მეორე - ლორიალური.


ვაქცინის მიმართ რეზისტენტულობის ხარისხი გაიზარდა 2020 წლის დეკემბერთან შედარებით (22%), ხოლო შემცირდა 2020 წლის სექტემბერთან შედარებით.

თუკი ვაქცინას შეიმუშავებენ და ჩემთვის რეკომენდებული იქნება, გავიკეთებ


V ეტაპი
(15.09.2020)



VI ეტაპი
(7.12.2020)



VII ეტაპი
(11.03.2021)



■ არ ვეთანხმები ■ 50/50 ■ ვეთანხმები ■ არ ვიცი / უარი პასუხზე

ვაქცინაციის მიმღებლობასთან კორელაციაში მყოფი ცვლადები

რეკომენდებულობის შემთხვევაში კორონავირუსის ვაქცინის გაკეთებას უფრო მეტად ის რესპონდენტები უჭერენ მხარს:


- ვინც რისკ-ჯგუფს მიეკუთვნება
- ვინც სამთავრობო სტრუქტურებს ენდობა
- ვინც ხშირად ეძებს ვირუსის შესახებ ინფორმაციას
- ვისი აზრითაც, ვირუსი მედიის მიერ გაზვიადებულად არ არის წარმოჩენილი
- ვისაც მაღალი სამედიცინო ცნობიერება აქვს

	თუკი ვაქცინას შეიმუშავენ და ჩემთვის რეკომენდებული იქნება, გავიკეთებ		
	Beta	standardized CI	p
რისკ-ჯგუფებისადმი მიკუთვნებულობა (ქრონიკული დაავადებების მქონე ან 65+ ასაკის პირები)	0.08	0.01 – 0.15	0.034
სამთავრობო სტრუქტურების მიმართ ნდობა	0.14	0.06 – 0.22	0.001
ინფორმაციის მოძიების სიხშირე	0.09	0.02 – 0.17	0.014
მედიის მიერ ვირუსის გაზვიადებული წარმოჩენის აღქმა	-0.13	-0.21 - -0.06	0.001
სამედიცინო ცნობიერება	0.12	0.04 – 0.20	0.003

რესპონდენტთა მხოლოდ 40%-ია
დარწმუნებული, რომ ვაქცინა
ინფიცირებისგან დაიცავს.


ან მოსაზრებას არ ეთანხმება 27%.

სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ კოვიდ-19-ის
საწინააღმდეგო ვაქცინა ვირუსისგან დამიცავს.



COVID-19 –ის საწინააღმდეგო ვაქცინის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით რესპონდენტთა მოსაზრებები გაყოფილია: ერთი ნაწილი (30%) მიიჩნევს, რომ ვაქცინა უსაფრთხოა, ხოლო მეორე, ოდნავ, დიდი ნაწილი (32%) მიიჩნევს, რომ ვაქცინა უსაფრთხო არ არის.


სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა უსაფრთხოა.



რესპონდენტთა უფრო დიდი ნაწილი არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ როდესაც ყველას გაკეთებული ექნება COVID-19-ის სწინააღმდეგო ვაქცინა, მათ აღარ დასჭირდებათ ვაქცინაცია.


საშუალოდ 30%-ს შეადგენს იმ რესპონდენტთა წილი, ვინც, სამივე ტალღაში, ამ პოზიციას იზიარებს .

როდესაც ყველას გაკეთებული ექნება COVID19-ის
საწინააღმდეგო ვაქცინა, მე აღარ დამჭირდება
ვაქცინაცია




თითქმის ყოველი მეორე რესპონდენტი (48%) მიიჩნევს, რომ განსხვავებული მოსაზრებები ვაქცინის გრძელვადიანი უარყოფითი შედეგების შესახებ ხელს უშლის, მიიღოს ვაქცინაციის ჩატარების გადაწყვეტილება.

არსებობს სხვადასხვა მოსაზრება ვაქცინის გრძელვადიანი უარყოფითი შედეგების შესახებ, რაც ხელს მიშლის მივიღო ვაქცინაციის ჩატარების გადაწყვეტილება



რესპონდენტთა უმრავლესობა (62%)
ეთანხმება მოსაზრებას, რომ აფასებს
სარგებელს და რისკებს, რათა
საუკეთესო გადაწყვეტილება მიიღოს
ვაქცინაციასთან დაკავშირებით.


კოვიდ19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციაზე
ფიქრისას, ვაფასებ სარგებელსა და რისკებს, რათა
საუკეთესო გადაწყვეტილება მივიღო



ვაქცინის შეუთავსებლობას
რელიგიური მრწამსთან/რელიგიური
წინამძღოლთან არ ეთანხმება
გამოკითხულთა უმრავლესობა - 71%.

რესპონდენტთა მხოლოდ 10%
აღიარებს რელიგიური მრწამსის და
ვაქცინაციის შეუთავსებლობას.


ვაქცინა ეწინააღმდეგება ჩემს რელიგიურ მრწამსს /
ჩემი რელიგიური წინამძღოლი ვაქცინის
წინააღმდეგია.



ყოველ მესამე რესპონდენტს უჭირს რომელიმე კონკრეტული ვაქცინის მიმართ საკუთარი მიმდებლობა დაადასტუროს.

შედარებით მეტი მიმდებლობა აღმოაჩნდა Pfizer-ს (18.2%).

თუ დათანხმდებით ვაქცინაციას, რომელ ვაქცინას გაიკეთებდით?



რესპონდენტთა მხრიდან ვაქცინის გაკეთების მიმართ დამოკიდებულება არ არის უპირობო ან წმინდად ემოციური, არამედ დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე.

ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებად/წინაპირობებად დასახელდა:


- ის, იყო თუ არა ვაქცინა დიდი ხნის განმავლობაში გამოყენებული სერიოზული გვერდითი მოვლენების გარეშე (72%)
- ვაქცინის მწარმოებელი ქვეყანა (71%)
- ის, გამოყენებული იყო თუ არა ვაქცინა სხვა ქვეყნებში (71%)

მაღალი გავლენის მქონე ფაქტორებს მიეკუთვნება, აგრეთვე:


- ვაქცინის მწარმოებელი კომპანია (67%)
- ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაცია (65%)
- კორონავირუსით დაინფიცირების რისკი (63%)
- ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაცია (62%)
- ოჯახის ექიმის რეკომენდაცია (62%)
- იმ ნაცნობების გამოცდილება, ვინც გაიკეთა ვაქცინა (61%)

შედარებით დაბალი გავლენის მქონე ფაქტორი აღმოჩნდა ცნობილი/გავლენიანი ადამიანების მიერ ვაქცინის გაკეთება (48%).


ჩემი გადაწყვეტილება, ჩავიტარო თუ არა
ვაქცინაცია, დამოკიდებული იქნება ვაქცინის
მწარმოებელ ქვეყანაზე




ჩემი გადაწყვეტილება, ჩავიტარო თუ არა
ვაქცინაცია, დამოკიდებული იქნება ვაქცინის
მწარმოებელ კომპანიაზე



ჩემი გადაწყვეტილება, ჩავიტარო თუ არა
ვაქცინაცია, დამოკიდებული იქნება ჯანმრთელობის
მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციაზე




ჩემი გადაწყვეტილება, ჩავიტარო თუ არა
ვაქცინაცია, დამოკიდებული იქნება ჩემი ოჯახის
ექიმის რეკომენდაციაზე




იმაზე, იყო თუ არა ვაქცინა დიდი ხნის
განმავლობაში გამოყენებული სერიოზული
გვერდითი მოვლენების გარეშე

VI ეტაპი
(7.12.2020)




VII ეტაპი
(11.03.2021)




■ არ იქნება დამოკიდებული ■ 50/50
■ იქნება დამოკიდებული ■ არ ვიცი / უარი პასუხზე

ჩემი გადაწყვეტილება, ჩავიტარო თუ არა
ვაქცინაცია, დამოკიდებული იქნება ჯანდაცვის
სამინისტროს რეკომენდაციაზე

V ეტაპი
(15.09.2020)



VI ეტაპი
(7.12.2020)




VII ეტაპი
(11.03.2021)




■ არ იქნება დამოკიდებული ■ 50/50
■ იქნება დამოკიდებული ■ არ ვიცი / უარი პასუხზე

ვაქცინის ხელმისაწვდომობის პერიოდში COVID19-ით დაინფიცირების რისკზე


V ეტაპი
(15.09.2020)



VI ეტაპი
(7.12.2020)




VII ეტაპი
(11.03.2021)




■ არ იქნება დამოკიდებული
 ■ 50/50
 ■ იქნება დამოკიდებული
 ■ არ ვიცი / უარი პასუხზე

იმაზე, გამოყენებული იყო თუ არა ვაქცინა სხვა ქვეყნებში


V ეტაპი
(15.09.2020)



VI ეტაპი
(7.12.2020)




VII ეტაპი
(11.03.2021)




■ არ იქნება დამოკიდებული
 ■ 50/50
 ■ იქნება დამოკიდებული
 ■ არ ვიცი / უარი პასუხზე

დამოკიდებული იქნება იმ ნაცნობების გამოცდილებაზე,
ვინც გაიკეთა ვაქცინა



დამოკიდებული იქნება ცნობილი/გავლენიანი ადამიანების
გამოცდილებაზე, ვინც გაიკეთა ვაქცინა



ვაქცინაციის გადაწყვეტილებაზე გავლენის მქონე ფაქტორებთან კორელაციაში მყოფი ცვლადები

ვაქცინაციის ჩატარების გადაწყვეტილების მიღების მხრივ ჯანდაცვის სტრუქტურების რეკომენდაციას მნიშვნელოვნად მიიჩნევენ:

- ✓ ზედა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები
- ✓ ისინი, ვინც ფიქრობს, რომ კორონავირუსით მათი დაინფიცირების ალბათობა მაღალია
- ✓ ისინი, ვინც სამედიცინო სექტორს ენდობა
- ✓ ისინი, ვინც ვირუსს ახლოს მყოფად აღიქვამს
- ✓ ისინი, ვინც მიიჩნევს, რომ მედია ვირუსს გაზვიადებულად არ წარმოაჩენს


ოჯახის ექიმის რეკომენდაციაზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ:

- ✓ ისინი, ვინც რისკ-ჯგუფს მიეკუთვნებიან
- ✓ ისინი, ვინც სამთავრობო სტრუქტურებს ენდობა
- ✓ ისინი, ვინც მედიას არ აბრალებს ვირუსის გაზვიადებულ წარმოჩენას

	ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაცია			ოჯახის ექიმის რეკომენდაცია		
	Beta	Standardized CI	p	Beta	standardized CI	p
ასაკი	0.11	0.03 – 0.18	0.008			
დაინფიცირების ალბათობა	0.09	0.01 – 0.16	0.035			
სამთავრობო სტრუქტურების მიმართ ნდობა				0.28	0.19 – 0.36	<0.001
სამედიცინო სექტორისადმი ნდობა	0.21	0.08 – 0.34	0.001			
ვირუსის სიახლოვის აღქმა	0.10	0.02 – 0.18	0.012			
მედიის მიერ ვირუსის გაზვიადებული წარმოჩენის აღქმა	-0.17	-0.25 - -0.09	<0.001	-0.12	-0.2 - -0.03	0.006
რისკ-ჯგუფებისადმი მიკუთვნებულობა (ქრონიკული დაავადებების მქონე ან 65+ ასაკის პირები)				0.13	0.05 – 0.22	0.003
ინფორმაციის მოძიების სიხშირე						


რესპონდენტები უპირატესობას ანიჭებენ სამედიცინო დაწესებულებებში (პირველ რიგში, საავადმყოფოებში, ასევე, ამბულატორიულ დაწესებულებებში) ვაქცინაციის ჩატარებას.

სად გირჩევნიათ კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ჩატარება?




უმრავლესობა (73%) ეთანხმება, რომ
ვაქცინაცია უნდა დაიწყოს
სამედიცინო პერსონალით.

სამედიცინო პერსონალმა,
მოსახლეობის სხვა ნაწილთან
შედარებით, უფრო ადრე უნდა
გაიკეთოს ვაქცინა



სულ მცირე, ყოველი მეორე
გამოკითხული (53%) ეთანხმება, რომ
ვაქცინაცია სავალდებულო უნდა იყოს
ჯანდაცვის სფეროში
დასაქმებულებისთვის.


ვაქცინაცია სავალდებულო უნდა იყოს
ჯანდაცვის სფეროში
დასაქმებულებისთვის



სულ მცირე, ყოველი მეორე
გამოკითხული (55%) არ ეთანხმება,
რომ ვაქცინაცია სავალდებულო უნდა
იყოს მოსახლეობისთვის.

მოსახლეობისთვის ვაქცინაციის
სავალდებულოობას იზიარებს 28%.

ვაქცინაცია სავალდებულო უნდა იყოს მოსახლეობისთვის



გმადლობთ ყურადღებისთვის!